



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 19
03/08/2016

19-06-4-201608031905



დადგენილება №19

2016 წლის 3 აგვისტო

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო:

ა დ გ ე ნ ს

1.შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 01/01/2016/ წ. სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.113.016250) და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელის ნაწილში **838 000 ლარით:**

გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) **838 000 ლარით**

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის #1409 განკარგულებით 2016 წელს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „ საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოუყო 838 000 ლარი. მათ შორის:

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად - 838 000 ლარი;

შემცირდეს:

ა) კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი 05 02 01 – 2.2.10.14.) – 25 000 ლარით;

ბ) თვითმმართველი თემი-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ.- მუნიციპალური მომსახურების ცენტრი , სუბსიდიები (ორგანიზაციული კოდი 03 02 03 – 61.1.1.11.) – 40 000 ლარით;

გ) ოზურგეთის გამგეობის, მიმდინარე რემონტის ხარჯი (ორგანიზაციული კოდი 01 02 – 2.2.8.2.) – 25 000 ლარით;

დ) ოზურგეთის გამგეობის, კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი (ორგანიზაციული კოდი 01 02 – 2.2.3.2.) – 25 000 ლარით;

ე) ოზურგეთის გამგეობის, არაფინანსური აქტივების ზრდა, მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი (ორგანიზაციული კოდი 01 02 – 61.1.2.1.2.) – 12 000 ლარით;

ვ) „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი 06 02 07 – 2.7.2.1.) – 15 000 ლარით;
შესაბამისად გაიზარდოს:

ზ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი 03 07 – 61.1.1.11.) – 838 000 ;

თ) ინფრასტრუქტურის სამუშაოები, არაფინანსური აქტივების ზრდა, მიწა (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 -61.4.1.) – 80 000 ლარით;

ი) კეთილმოწყობის ღონისძიებები, არაფინანსური აქტივების ზრდა, სხვა შენობა - ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი 03 05 – 61.1.1.11.) – 12 000 ლარით;

კ) კულტურის ღონისძიებების ხელშეწყობა, გრანტები, გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს (ორგანიზაციული კოდი 05 02 01 – 2.6.3.1.) – 25 000 ლარით;

ლ) მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი 06 02 06– 2.7.2.1.) – 15 000 ლარით;

მ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წყალმამველთა ჯგუფი, სუბსიდიები (ორგანიზაციული კოდი 02 01– 2.5.) – 10 000 ლარით;

ასევე დაზუსტდეს საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.გ“ და „ე.ე“

ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69 -ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდეზს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 მარტის #15 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გამგებლის მიერ გამოცემული #1983(11/07/2016) ბრძანება. კერძოდ, გამგებლის

#1983 (11/07/2016) ბრძანების შესაბამისად :

შემცირდეს:

ნ) „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის საჭირო კვლევების დაფინანსება, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი 06 02 07 – 2.7.2.1.) – 10 000 ლარით;
შესაბამისად გაიზარდოს:

ო) მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სოციალური დახმარება ფულადი ფორმით (ორგანიზაციული კოდი 06 02 06– 2.7.2.1.) – 10 000 ლარით;

სულ გაიზარდოს 838 000 ლარით

2. დადგენილების დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო